

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრის შრომები
№ 25, 1984

#39

ზურაბ ჭუმბურიძე

მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმის
ისტორიისათვის

ქართულში, მრავალი სხვა ენის მსგავსად მეშველზმნიანი კონსტრუქციები მუშაოდ გავრცელებულია და ხვადასხვა ფუნქციით გვხვდება. განსაკუთრებით ხშირად იხმარება მეშველი ზმნა შედგენილი შემასმენლის კოპულად (ზმნურ ნაწილად). მეშველი ზმნა მონაწილეობს გრეთვე ერთპირიან ზმნათა III სერიის ფორმების წარმოებაში (დამალულა, დამალულიყო, დამალულიყოს...), ორპირიან ზმნათა პირველ თურმეობითში (პირველსა და მეორე პირში: დავმალვივარ, შევბრალევივარ... დამალვიხარ, შებრალევიხარ...), გარდაუვალ ზმნათა ერთი წყების აწმყოს წარმოებაში (ვზივარ, ვჩანვარ... ზიხარ, ჩანხარ...). ძველ ქართულში მეშველი ზმნა სახელზმნის ვითარებით ბრუნვასთან ერთად იხმარებოდა მომავალი დროის გამოსახატავად და სხვ.

ამათგან მეშველზმნიან კონსტრუქციათა ზოგი ტიპის წარმოება და ფუნქციები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის შესწავლილი. სახელდობრ, მყოფადის წარმოებას მეშველი ზმნის საშუალებით ეხება პროფ. ი. ქავთარაძის¹ და ე. ბასილაშვილის² ნაშრომები, აწმყოსა და პირველ თურმეობითში I-II პირებში მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა-განვითარების ისტორია შესწავლილი აქვს დოც. ლ. ბარამიძეს³.

ჩვენ ამჟერად გვაინტერესებს მეშველი ზმნის ხმარება შედგენილი შემასმენლის კოპულად, კერძოდ, შემთხვევები, როცა ის იხმარება შეკვეცილი, გამარტივებული ფორმით.

¹ ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: იკე, XII, 1960, გვ. 199-209.

² ე. ბასილაშვილი, მასდარული კონსტრუქციის ფუნქცია ძველ ქართულში „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ მიხედვით: თსუ ახალგაზრდა მეცნ. საბჭო, შრომები, VII, 1981, გვ. 26-37.

³ ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიანი ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, IX, 1964.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ „არის“ ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი იქნება ის თუ სხვა რამ, არ შეიძლება იდგეს მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებში. ასეთი სახელი ყველაზე ხშირად სახელობით ბრუნვაშია, არაიშვიათად-ნათესაობითში, იშვიათად კი-მიცემითსა, მოქმედებითსა და ვითარებითში (უთანდებულოდ და უნაწილაკოდ ან მათთან ერთად). „არის“ ზმნა გვხვდება აგრეთვე

#40

ზმნიზებდებთან და ცალკე მდგომ ზოგიერთ ნაწილაკთანაც¹. ყველა შემთხვევაში ის წარმო გვიდგება ან სრული ფორმით („არის“, „არს“), ან შეკვეცილად („არი“, „ა“).

სრულ ფორმათაგან ძველად გაბატონებული იყო „არს“, იშვიათად გვხვდებოდა „არის“ (ასევე: „ვარი“, „ხარი“), დღეს კი საპირისპირო ვითარებაა. შეკვეცილ ფორმათაგან „არი“ სრულიად უცნობია ძველი ქართული მწერილობითი ძეგლების ენისათვის, ამჟამად კი ცოცხალ მეტყველებაში ის საყოველთაოდ გავრცელებულია, მაგრამ ლიტერატურულ ფორმად არ ითვლება. რაც შეეხება „ა“-ს, ის ამჟამად რული ფორმის პარალელურად ხშირად გვხვდება როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სალიტერატურო ენაში.

ცხადია, „ა“ მიღებულია „არს“ ფორმის შეკვეცა-გამარტივების გზით. გამარტივების პროცესი ასე წარმოგვიდგება: არს→ას→ა. შუა საფეხური დღემდე დაცულია ხევსურულ კილოში:

რაიც ვინ ას ე სოფელჩი ქუდიანი, სრუ ჩაივლის ჯვარის კარჩი (ქართული დიალექტოლოგია, I, 8, 23);

სამეკვლეოზე დაჭრელებული ას ერთ მჯარეი, მეორე კი გლუვი ას (იქვე, 8, 40-9, 1);

ცალკე ახალაზალი ას, ცალკე-მეფეი (იქვე, 11, 18).

საბოლოოდ გამარტივების შედეგად გვრჩება მხოლოდ საწყისი ხმოვანი ა, რომელიც ასეთ შემთხვევაში სახელს უერთდება, მასთან ერთად გამოითქმის და ერთადვე იწერება: კაცია, ხეა, კარგია, საბრალოა, ნათქვამია, კაცისაა, კაციტაა, კარგადაა, ჩემთანაა, მინდორში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ხევსურულში ა-ც შეიძლება გაქრეს და, მაშასადამე, მეშველი ზმნა მთლიანად გამოტოვებულ იქნეს, ისევე როგორც ეს ახასიათებს რუსულს. ასეთ შემთხვევაში მეშველი ზმნის მაგივრობას ეწევა მახვილი, რომელიც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილს ბოლო ხმოვანზე ეცემა:

თუ კაცები ას სახლჩი, საარაყეს ჩააყენებენ, თუ ო ბ ო ლ- ო ბ ო ლ ქ ვ რ ი ვ ბ, თუნდა პურსა ნუ აჭმევს (ქართ. დიალ., I, 5, 4);

ფაფას ჩასდებენ ხომიკეებჩი, ორში, სამში რამთვენიც კაცებბ, (იქვე, 6, 6); მემრ სმაბ, ღრეობაბ..., (იქვე, 8, 32).

¹ სიმარტივისთვის ჩვენ მას ქვემოთ ყველგან მოვიხსენიებთ მეშველი ზმნის სახელით.

ანალოგიური სურათია თუშურში და ინგილოურის კაკურ კილოკავში, ოღონდ მათ წინა მარცვლის მკვეთრი მახვილიანობა ამჟამად არ ახასიათებთ:

-ღთისო, ძაქ გოხებშიგ რო ნაფუძრები, დეგ როდინდელი?

-დეგ უღირაჲ ხ ნ ი ს ა დ, ბიჭუ, უდერაჲ ხ ნ ი ს ა დ (იქვე, 104, 2-3);

ჩემ კარი („ჩემი ხარია“), დათი კოლი („დათვის კვალია“), მამა დიალ ავადი („მამა ძლიერ ავადაა“) და სხვ¹.

კილოთა უმეტესობაში და სალიტერატურო ენაში პროცესი ასე შორს აღარ წასულა, საყოველთაოდ გავრცელდა და დამკვიდრდა მხოლოდ შეკვეცილი ფორმა „ა“ (სრული „არის“ ფორმის პარალელურად).

საინტერესოა გაირკვეს, რა დროიდან გვხვდება მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა ქართულში და როგორია მისი მიმართება სრულ ფორმასთან.

#41

როგორც ჩანს, „არს“ ზმნა ძველთაგანვე ამჟღავნებდა შეკვეცა-გამარტივების ტენდენციას. მისი „ა“-დ ქცევის უძველესი შემთხვევები ჯერ კიდევ ხანმეტი ტექსტებში დასტურდება:

ხოლო ჩუენ ხუესავთ, ვითარმედ ი გ ი ა, რომელმან იკსნეს ისრაჴლი (ხანმეტი ლექც., ლუკა 24, 21);

შენდა ხ უ ე დ რ ე ბ უ ლ ა ქალწული ესე უფლისაჲ (ხანმეტი იაკობი, IX, 1 B და A: ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977).

ასეთივე ფორმები დასტურდება ერთ-ერთ უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერში - ადიშის ოთხთავში, რომელიც გადაწერილია 897 წელს:

ნუ ჰფუცავ ყოლად ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ: ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კ უ ა რ ც ხ ლ ბ ე რ კ ი ა ფერჯთა მისთაჲ (მათე 5, 34-35; შდრ. კუარცხლბერკი არს DE);

უ ა დ ვ ი ლ ე ს ა ზომთ საბლისაჲ ჯურელსა ნემსისასა განსლვაჲ. ვიდრე მდიდრისაჲ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა (მათე 19, 24; შდრ. უადვილეს არს DE);

ესე მ ა თ გ ა ნ ი ვ ე ა (მარკოზ 14, 69; შდრ. ესეცა მათგანი არს DE);

თ ქ უ ე ნ ი ა სასუფეველი ღმრთისაჲ (ლუკა 6, 20; შდრ. თქუენი არს DE);

რომელი მადლია თქუენდა (ლუკა 6, 34; შდრ. მადლი არს DE);

ჩემი ყოველი შენი არს და შენი ჩ ე მ ი ა (იოვანე 17, 10; შდრ. ჩემი არს DE).

ორიოდე შემთხვევა ამგვარი შეკვეცილი ფორმების ხმარებისა გვხვდება ჯრუჭის ოთხთავშიც (936 წ.):

რომელი მ ო ს რ უ ლ ა სოფლად (იოვანე 6, 14 D; შდრ. მოსრულ არს E მოსლვად იყო C);

¹ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, პირელი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა წარმოება ინგილოურში: ივე, VII, 1955, გვ. 121; მისივე, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 116.

ყოველივე შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მორწმუნისა (მარკოზ 9, 23 D; შდრ. შესაძლებელ არს CE).

შეკვეცილი ფორმები დასტურდება ძველ სინურ და ათონურ ხელნაწერებშიც: სახელდობრ, ათონის ` 11 ხელნაწერში (ბლეიკის კატალოგის მიხ.) იკითხება:

რამეთუ ე ს ე ა ჯორცი ჩემი (80 v);

ეგეა ძჴ ჩემი საყუარელი (151 v);

` 11 სინურ ხელნაწერში, რომელიც მრავალთავს წარმოადგენს და რომლის რამდენიმე ტექსტიც ი. იმნაიშვილმა შეიტანა „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის“ II ტომში, გვხვდება ასეთი მაგალითები:

ესე დიდება და ს ი ქ ა დ უ ლ ა ჩუენდამო მარადის (ისტ. ქრესტ., II, 32, 12);

ყოველი რომელი დ ა რ ჩ ო მ ი ლ ა მონაგები ჩემი, მიგცე შენ (იქვე, 54, 32);

დ ა მ ა რ ხ უ ლ ა (123 r); უ გ უ ნ უ რ ი ა (183 v)¹.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქვე გვხვდება მეშველი ზმნის მრავლობითი რიცხვის შემოკლებული ფორმაც („არიან“-„ან“), გამოყენებული პირველ თურმეობითში: დ ა მ კ უ ი დ რ ე ბ უ ლ ა ნ (13 v).

აქვეა შეკვეცილი ფორმა („ა“) ნარიან მრავლობითთანაც:

#42

ორნი ესე ასულნი ჩემნი ქ ა ლ წ უ ლ ნ ი ა (373 v).

„არს“ ზმნის შეკვეცილი ფორმა ძველთაგანვე გვხვდება თანდებულიან სახელთანაც:

უწყოდით, რამეთუ ღმერთი თ ქ უ ე ნ თ ა ნ აა (სინ. ` 62, 1210, 19).

დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს სხვა ტექსტებიდან:

უ რ ჩ ე ბ ა ა, გ ა ნ ს უ ე ნ ე ბ ა ა (კიმენი, I, 167, 21-22).

წმიდანი უდაბნოთა მამანი... უმანკოთა მ ფ ა რ ვ ე ლ ნ ი ა ვნებისაგან მსოფლიოდა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ნ. მარის გამ., 35, 14);

ხარბი და ძალლი შ ე გ ი ნ ე ბ უ ლ ი ა („მამათა სწავლანი“, 48, 6-7).

ისეთი მაგალითები, როგორიცაა ქ ა ლ წ უ ლ ნ ი ა, მ ფ ა რ ვ ე ლ ი ა, შ ე გ ი ნ ე - ბ უ ლ ნ ი ა ცხადად გვიჩვენებს, რომ „ა“ ზოგჯერ მეშველი ზმნის „არიან“ ფორმას ენაცვლება და მის შეკვეცილ სახეს წარმოადგენს.

აი კიდევ ერთი ნიმუში IX ს. ხელნაწერიდან-უდაბნოს მრავალთავიდან, სადაც თითქოს საგანგებოდაა გვერდიგვერდ წარმოდგენილი მეშველი ზმნის სრული და შეკვეცილი ფორმები როგორც მხოლოდობითან, ისე მრავლობითთან.

„შვილო, შენ მარადის ჩემი ხარ და ჩემი ყოველი შენი არს; [შენი არს] ცაჲ და სამირკუელი მისი, შ ე ნ ი ა მზჴ და ბრწყინვალეებაჲ მისი, შენი არს მთოვარჴ და ნათელი მისი; შენნი არიან ვარსკულავნი და ელვანი მათნი; შენი არს აერი, რომელი

¹ ი. ი. იმნაიშვილი, სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: გამოკვლევა ერთვის „ქართული ენის ისტ. ქრესტომათიის“ II ტომს, 1963, გვ. 209.

ზრდის ყოველთა; შენი არს ქუეყანად და ნაყოფი მისი; შენი არს ზღუად და რომელნი მისგან შობილ არიან; შენი არს ყოველი სოფელი, შენი არს შესაწირავი, შენნი არიან ანგელოზნი, შენი ა წინასწარმეტყუელნი, შენი ა მარტვლნი; შენი ა, რომელნი არიან, და შენი ა, რომელნი მოსლვად არიან; შენი არს აღდგომად, შენი არს უკსდავებად, შენი ა მეუფებად, შენი ა ყოველი, რომელი ჩას, შენი ა, და რომელი იქმნების, შენი ა“ (S-1109, 68 r).

მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმით ხმარების შემთხვევები უდაბნოს მრავალთაგანში სხვაც არის, მაგრამ საერთოდ ამგვარი მაგალითები V-X საუკუნეთა ძეგლებში მაინც იშვიათია, შეიძლება ითქვას - სანთლით საძებარია. ასეთივე სურათია XI საუკუნის ძეგლებშიც.

მაგალითად, ისეთ საკმაოდ დიდი მოცულობის ძეგლში, როგორიცაა „ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი“, შეკვეცილი ფორმა მხოლოდ ერთგან გვხვდება:

სულთა ჩუენთა დადება ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ა (ბრძანებულ არს BCDEF GHL) ძმათა ჩუენთათჳს (ძვ. ქართ. აგიოგრაფიულ ლიტ. ძეგლები, II, 78, 18).

დაახლოებით სეთივე მოცულობისა და ამავე ეპოქის მეორე ძეგლში-პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში ორი ანალოგიური ფორმა მოიპოვება:

და გუაუწყებს, თუ რ ა დ ა ნაყოფი სულისად, რომელ არს სიყუარული, სიხარული, მშჳდობად, სულ-გრძელებად, სიტკბოებად და შემდგომი ამისი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, 15, 11);

გარნა რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დ ა კ ლ ე ბ უ ლ ა ნიკორწმიდას სწავლისაგან (იქვე, 31, 6).

იშვიათია შეკვეცილი ფორმა „ამირანდარეჯანიანშიც“, თუმცა აქვე დასტურდება მრავლობითის ფორმის შემოკლება: ცოცხალან („ამირანდარეჯანიანი“, ლ. ათანელიშვილის გამ., 427, 2).

მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმით ხმარების შემთხვევები ერთბაშად

#43

ხშირდება XII საუკუნიდან. განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის. სახელდობრ, როგორც ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი სიმფონიიდან ჩანს, პოემაში მეშველი ზმნა მესამე პირის ფორმით 555-ჯერ გვხვდება (თურმეობითის ფორმათა ჩაუთელელად). აქედან შეკვეცილი ფორმა („ა“) ნახმარია 427-ჯერ, მათ შორის 30-ჯერ - ნარიან მრავლობითში დასმულ სახელებთან, სადაც ის მიღებულია „არიან“ ფორმის შეკვეცით (კაცნია, ქაჯნია, საჭურჭლენია, მხნენია, სხვანია...). ამათ საპირისპიროდ სრული ფორმები გვხვდება შემდეგი რაოდენობით: „არს“-59, „არსა“-5, „არსმცა“-1, „არის“-61, „არისმცა“-1, „არისცა“-1, „არიან“-5. გარდა ამისა, ერთი მაგალითია აწმყოს ხოლმეობითის ხმარებისა („არნ“), ერთხელ გვხვდება „არის“ და ორჯერ-მისივე ვარიანტი „არე“, რომელიც პოეტურ ლიცენციას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა პოემაში სამჯერ სჭარბობს სრულ ფორმებს, სრულ ფორმათაგან კი „არს“ და „არის“ დაახლოებით თანაბრად იხმარება.

ჩანს, რუსთველი თავისი დროის სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო სიხშირით, ლაღად, სხვა ავტორებზე გაბედულად იყენებდა შეკვეცილ ფორმას. შესადარებლად შეიძლება დავასახელოთ დაახლოებით იმავე ეპოქის ასტროლოგიური ტრაქტატი „ეტლთა და შვდთა მნათობთათჳს“, რომელიც, მცირე მოცულობის მიუხედავად, მეშველზმნიან ფორმებს უხვად შეიცავს, მაგრამ შეკვეცილი ფორმა მათ შორის შედარებით იშვიათია:

და ხეთაგან რადცა მ ა ღ ა ლ ი ა, და რკინაჲ და ტყვად მისი არს (1, 13; ვუთითებთ თავსა და სტრიქონს ა. შანიძის გამოცემის მიხედვით);

და კაცისა ნივთთაგან ბალღამი მ ი ს ი ა (4,5);

რადცა აშენებული არს, მ ი ს ი ა (5,11);

და რადცა ძნელი და საჭირო ს ა ქ მ ე ა, მისი არს (11,29);

და ადგილთაგან სანადირონი და კოშკნი მ ი ს ნ ი ა (5,15);

და ადგილთაგან მწიგნობართ უხუცესთა საჯდომი ლა ვენაჴნი და ბოსტანნი და ნაფუძარნი და სამკაულისა მოთხენი მ ი ს ნ ი ა (6,19);

და კაცისა ასოთაგან კოჭთადთგან და ტერფნი მ ი ს ნ ი ა (12, 14).

მომდევნო ხანის ძეგლებში, როგორიცაა „რუსუდანისი“, თეიმურაზ პირველის, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის თხზულებები და სხვანი, შეკვეცილი ფორმები უკვე მრავლად გვხვდება. ამ მხრივ მათი დაწვრილებითი ანალიზი ჩვენს მიზანს არ შეადგენს და ეს, ვფიქრობთ არც არის საჭირო. უამისოდაც ნათელია, რომ მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა ქართულში ადრეული ხანიდანვე დასტურდება, მაგრამ მის ხმარებას ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ნორმის ხასიათი არა აქვს, იგი ხოლოდ იშვიათად იჩენს თავს ცოცხალი მეტყველების გავლენით. საშუალ ქართულში კი სურათი არსებითად იცვლება და შეკვეცილი ფორმა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. რაც შეეხება თანამედროვე სალიტერატურო ქართულს, აქ სრული და შეკვეცილი ფორმები სავსებით თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან გვქონდა საუბარი პროფ. ი. იმნაიშვილთან ერთად¹ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

¹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ვინ არის და ვინაა: გაზ. „თბილისი“, 30 XII 1974, მ ა თ ი ვ ე, გაჭიანუებული დისკუსია: აღმანახი „განთიადი“, ` 2, 1981 (იხ. აგრეთვე ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ლიტერატურული წერილები, 1975; მ ი ს ი ვ მ ა დ ლ ი დ ე დ ა ე ნ ს ა, 1982).